2150013098683

www.info.court.ge

კრედიტორთა კრების ოქმი
(ამონაწერი)

საქმე №2/18013-2015 **ქ. თბილისი**

13 ნოემბერი 2015 წელი

თბილისის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი

სხდომის მდივანი მარი კირვალიძე

შ.პ.ს. ,,ბათუმი პლაზა ”-ს კრედიტორთა კრება.

მოსამართლე აცხადებს განჩინებას გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების და გაკოტრების მმართველის დანიშვნის შესახებ.

მოსამართლე აცხადებს: ”გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას, მაშინ კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება ამ კანონით დადგენილი წესით.

”გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 21-ე პუნქტის მიხედვით, მოვალის მიერ ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრების საქმის წარმოების მოთხოვნის შემთხვევაში კრედიტორთა პირველ კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი.

”გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით გაკოტრების მმართველს ირჩევენ კრედიტორები გაკოტრების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში. თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრებაზე ვერ აირჩევა ან კრედიტორები არ წარადგენენ გაკოტრების მმართველის კანდიდატურებს, გაკოტრების მმართველად სასამართლო ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

მოცემულ შემთხვევაში, კრედიტორების მიერ არ არის წარმოდგენილი გაკოტრების მმართველის კანდიდატურა და კრედიტორები თანახმა არიან გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ს.ს.ი.პ. ,,აღსრულების ეროვნულ ბიურო".

ამდენად შ.პ.ს. ,,ბათუმი პლაზა"-ს მიმართ უნდა დაიწყოს გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად უნდა დაინიშნოს ს.ს.ი.პ. აღსრულების ეროვნული ბიურო.

სასამართლომ იხელმძღვანელა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17, 27-ე, 37-ე მუხლებით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით,

ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. შ.პ.ს. ,,ბათუმი პლაზა"-ს მიმართ დაიწყოს გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ს.ს.ი.პ. აღსრულების ეროვნული ბიურო.
2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით განჩინების გამოცხადებიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე *ლაშა ქოჩიაშვილი*

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2018.11.22 17:54:59 +03'00'